

მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 7 ნოემბერს მიღებულ იქნა დადგენილება N8 „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47² მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით ცვლილებები შევიდა „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში და განხორციელდა ევროკომისიის 2010/267/EU გადაწყვეტილებით განსაზღვრული 791-862 მჰც რადიოსიხშირული დიაპაზონის (შემდგომში „800 მჰც დიაპაზონი“) ნაწილის (კერძოდ, 791.0-796.0, 806.0-816.0 მჰც და 832.0-837.0, 847.0-857.0 მჰც - დაწყვილებული 30 მჰც (2x15 მჰც) - რადიოსიხშირული რესურსის) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის განკუთვნილი მიწისზედა სისტემებისათვის ეროვნულ დონეზე განაწილება, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სიხშირული დიაპაზონის დანაწილების პარამეტრებისა და ტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

კომისია აღნიშნავს, რომ ევროკომისიის ზემოაღნიშნული, 2010/267/EU გადაწყვეტილებით განსაზღვრულია CEPT-ის (სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ევროპული ადმინისტრაციების კონფერენცია) მიერ შემუშავებული ის ტექნოლოგიურად ნეიტრალური მინიმალური ტექნიკური პირობები, რომელიც საშუალებას იძლევა 800 მჰც დიაპაზონი როგორც დღეს, ასევე მომავალში გამოყენებულ იქნეს ყველა იმ უსადენო/მობილური მიწისზედა სისტემების/ტექნოლოგიებისათვის, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მოსაწოდებლად, რომლებსაც თანაარსებობა შეუძლიათ ერთმანეთთან და რომელთა ტექნიკური პარამეტრებიც თავსებადია CEPT-ის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებთან.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ ევროკომისიის 2010/267/EU გადაწყვეტილებით რეკომენდირებულია 800 მჰც დიაპაზონში (ისევე, როგორც ყველა სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისათვის განკუთვნილი მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ დიაპაზონში) რადიოსიხშირული რესურსის გაცემა განხორციელდეს 5 მჰც ბლოკების ჯგერადად. შესაბამისად 800 მჰც დიაპაზონში დღეს ხელმისაწვდომი (2x15 მჰც) სიხშირული რესურსის გათვალისწინებით, აუქციონი შესაძლებელია გამოცხადდეს ერთი (2x15 მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე), ორი (2x10 მჰც და 2x5 მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე) ან სამი (სამ 2x5მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე) ლიცენზიის მისაღებად. ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის ნაწილის ან მთლიანად ერთ ლიცენზიაში გაერთიანების, ისევე როგორც დღეს ხელმისაწვდომი სიხშირული რესურსის ნაწილის ან მთლიანად აუქციონზე გატანის საკითხი უკავშირდება უსადენო/მობილურ ბაზარზე, როგორც ინფრასტრუქტურულ დონეზე კონკურენციის უზრუნველყოფის კუთხით, ასევე სერვის-დეფიციტური რეგიონების ფართოზოლოვანი მომსახურებით დაფარვის კუთხით კომისიის მიერ დასახულ მიმართულებებს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მთავრობის „ციფრული სტრატეგიით“ განსაზღვრული მთავარი მიზნის განხორციელებას, კერძოდ: ხარისხიან, მრავალფეროვან და ინოვაციურ მომსახურებათა სახეების მომხმარებლებისათვის გონივრულ ფასად მიწოდებას და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წვდომის უზრუნველყოფას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ფიქსირებულ ფართოზოლოვან დაფარვასთან დაკავშირებით სასოფლო ტიპის დასახლებულ პუნქტებში არსებულ მდგომარეობას, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მობილური/უსადენო ფართოზოლოვანი ქსელების „სერვის-დეფიციტურ“ რეგიონებში დანერგვის სტიმულირების საჭიროება, რადგან ახალი თაობის მობილური ტექნოლოგიებით შესაძლებელია მაღალსიჩქარიანი და (ფიქსირებულ ქსელებთან შედარებით) დაბალფასიანი ფართოზოლოვანი მომსახურების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიწოდება.

კომისია აღნიშნავს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიო მასშტაბით, ძირითადი ყურადღება ეთმობა ახალი თაობის, ფართოზოლოვანი შესაძლებლობის მქონე (ფიქსირებული და უსადენო/მობილური) ქსელების (NGN) დანერგვის ხელშეწყობას, რადგან ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და ფართოზოლოვანი მომსახურების ხელმისაწვდომობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორს წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ¹ კვლევაში ნაჩვენებია, რომ დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში ფართოზოლოვანი მომსახურების სიმკვრივის (პენეტრაციის) ყოველი 10%-იანი ზრდა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის 1.38%-ით ზრდას. უსადენო/მობილური ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების ხელშეწყობის კუთხით, მოცემული ტენდენცია გულისხმობს ახალი

¹http://siteresources.worldbank.org/EXTINFORMATIONANDCOMMUNICATIONANDTECHNOLOGIES/Resources/282822-1208273252769/Broadband_Investment_in_Stimulus_Packages.pdf

დიაპაზონების, მათ შორის, ხარჯების კუთხით ტერიტორიის ეფექტურად დაფარვის შესაძლებლობის მქონე, დაბალსიხშირული დიაპაზონების (800 მჰც და უახლოეს მომავალში 700 მჰც დიაპაზონი) ჰარმონიზებული ნორმებით უსადენო/მობილური ტექნოლოგიებისათვის განაწილებას.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ 800 მჰც დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი ლიცენზიის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ე.წ. „სერვის-დეფიციტური“ რეგიონების შესაბამისი ქსელებით დაფარვის ვალდებულება დროის გონივრული პერიოდის გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებულ პუნქტებს შორის დღეს არსებული ე.წ. „ციფრული წყალგამყოფის“ შემცირებას/აღმოფხვრას.

კომისია, ასევე აღნიშნავს, რომ ვიანიდან 800 მჰც დიაპაზონს სხვა, დაბალსიხშირული დიაპაზონების მსგავსად, სიგნალის გავრცელებისა და შენობა-ნაგებობებში შეღწევის კუთხით (რაც ნაკლებ დანახარჯებს (ნაკლებ საიტებს) საჭიროებს ტერიტორიის დაფარვის კუთხით), მაღალსიხშირულ (1800/2100 მჰც) დიაპაზონებთან შედარებით უკეთესი მახასიათებელი გააჩნია, მოცემული დიაპაზონის ფარგლებში არსებული რესურსი ლიცენზიის მფლობელის მიერ, როგორც წესი, გამოიყენება სწორედ ეროვნული მასშტაბით დაფარვის ადეკვატური დონის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ 800 მჰც დიაპაზონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის დატვირთვა დაფარვის ვალდებულებით არ წარმოადგენს ისეთი სახის დამატებით ვალდებულებას, რომელიც არ არის თანხვედრაში ეფექტური ლიცენზიის მფლობელის ქსელის განვითარების დაგეგმილ მიმართულებასა და მიზნებთან.

კომისია აღნიშნავს, რომ 800 მჰც დიაპაზონში დაფარვის ვალდებულებით დატვირთული ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოსატანი რადიოსიხშირული რესურსის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც რადიოსიხშირული დიაპაზონის ტექნიკური მახასიათებლები და ფართოზოლოვანი ტექნოლოგიის თავისებურებები, ასევე უსადენო ბაზარზე სიხშირეების განაწილების კუთხით არსებული სიტუაცია და კონკურენციის საკითხები.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოსახლეობის/ტერიტორიის დაფარვის მხრივ დაბალსიხშირულ დიაპაზონებს, მაღალსიხშირულ დიაპაზონებთან შედარებით, ხარჯების კუთხით გარკვეული უპირატესობა გააჩნია, მაღალსიხშირული დიაპაზონების ფართოზოლოვანი მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად უდიდეს მნიშვნელობას იძენს ქსელის ფარგლებში აგრეგირებული/გამოყენებული სიხშირული რესურსის ოდენობა (აგრეგაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთი და იგივე, ასევე სხვადასხვა სიხშირულ დიაპაზონში არსებული მიყოლებითი და არამიყოლებითი სიხშირული ბლოკების ფარგლებში), რაც თავის მხრივ, განაპირობებს ალტერნატიული ქსელებით მიწოდებული მომსახურებების კონკურენტუნარიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის 2x15 მჰც რესურსზე გაცემა 2x10 მჰც და მითუმეტეს 2x5 მჰც რესურსებზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემასთან შედარებით, საშუალებას მისცემს ლიცენზიის მფლობელს, დანერგოს უფრო მაღალსიხშირული ქსელი და შესაბამისად, მაღალსიხშირული მომსახურება მიაწოდოს მოსახლეობას, კომისიას, კონკურენციის კუთხით, არაოპტიმალურად მიაჩნია საქართველოში 800 მჰც დიაპაზონში დღეს ხელმისაწვდომი რესურსის 100%-ის ერთ ლოტად გამოტანა; კომისია, ასევე, არაოპტიმალურად მიიჩნევს მოცემულ ეტაპზე დაფარვის ვალდებულებით დატვირთული სამი ლიცენზიის ფარგლებში 2x5 მჰც სიხშირული რესურსის სააუქციონოდ გამოტანას, ვინაიდან ამგვარი მიდგომის შედეგად (აუქციონის ფარგლებში ოპტიმალური რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შემთხვევაშიც კი) შესაძლებელია, სააუქციონოდ გამოტანილი ლიცენზიები სხვადასხვა პირების ხელში აღმოჩნდეს, რაც გარანტირებულად ვერ უზრუნველყოფს საერთო დაფარვის პირობით სამიხივ სიჩქარის მქონე ფართოზოლოვან მომსახურებაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობას. ამგვარი შედეგის დადგომის შემთხვევაში, ბაზარზე ახალშემომსვლელი ან/და ბაზარზე არსებული მცირე რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი პირი ვერ შეძლებს დაფარვის ვალდებულებით დატვირთული ლიცენზიის ფარგლებში არსებული 2x5 მჰც რესურსით ოპტიმალური ფართოზოლოვანი შესაძლებლობების მქონე ქსელის დანერგვას და შესაბამისად კონკურენტული მომსახურების მიწოდებას, ხოლო ბაზარზე არსებული დიდი (სხვა ჰარმონიზებულ დიაპაზონებში დიდი რაოდენობით რადიოსიხშირული რესურსის მფლობელი) ოპერატორების შემთხვევაში, ოპტიმალური შესაძლებლობის მქონე ქსელების დანერგვა დამოკიდებული იქნება ლიცენზიის მფლობელების თავისუფალ ნებაზე, დანერგილი ქსელების ფარგლებში გამოიყენონ მათ სარგებლობაში არსებული დამატებითი რესურსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აუქციონი გამოცხადდეს მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ერთი ლიცენზიის მოსაპოვებლად, რომლის ფარგლებშიც ხელმისაწვდომი იქნება ერთი ქსელის უზრუნველსაყოფად საწყის ეტაპზე ოპტიმალური რაოდენობის,

კერძოდ, თანმიმდევრული 2x10 მჰც (806.0-816.0 მჰც და 847.0-857.0მჰც) სიხშირული რესურსი, ხოლო სალიცენზიო პირობად განისაზღვროს დაფარვის ვალდებულება საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, შემდეგი პირობებით:

მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტების მიხედვით:		
1.	30%-ში	2016 წლის 1თებერვლამდე
2.	50%-ში	2017 წლის 1თებერვლამდე
3.	70% -ში	2018 წლის 1თებერვლამდე
4.	90%-ში	2020 წლის 1თებერვლამდე

კომისია მიიჩნევს, რომ ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს ყოველი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის 100% -ის მოცვა (შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის.)

კომისია აღნიშნავს, რომ სალიცენზიო პირობად (ვალდებულებად), ასევე, განსაზღვრული უნდა იყოს მომსახურების მიწოდების მინიმალური, სტაბილურად ხელმისაწვდომი ხარისხი, კერძოდ, არა პიკის საათებში (როცა ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვა 60%-ზე ნაკლებია), წყვეტის გარეშე, ფიჭის საზღვარზე (Cell edge) მინიმუმ 2 მბტ/წმ „downlink“ მომსახურების მიწოდების სიჩქარე, გაზომვების 95%-ის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება შეიძლება შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად არის ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე (რადიოსიხშირულ დიაპაზონზე) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობაზე აუქციონის გამოცხადების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი.

კომისია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, შესაძლებელია, დადგინდეს, როგორც რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ფარგლებში, ასევე მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის. მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობა უნდა მოიცავდეს ისეთი სახის რადიოსიხშირულ დიაპაზონებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ერთი და იმავე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად;

კომისიას მიაჩნია, რომ მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული დიაპაზონების ერთობლიობისათვის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენის საჭიროება, თავის მხრივ, უკავშირდება სიხშირეების ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპით განაწილების ფარგლებში უსადენო/მობილურ ბაზარზე გრძელვადიანი კონკურენციის უზრუნველყოფის საკითხს. თუ 2009 წლამდე სიხშირული დიაპაზონები, კერძოდ, 900/1800 მჰც სიხშირული ზოლები, განკუთვნილი იყო მხოლოდ 2G (GSM) მობილური ტექნოლოგიისათვის და 2.1 გჰც სიხშირული დიაპაზონი მესამე თაობის (UMTS) მობილური ტექნოლოგიისათვის, დღეს ყველა ე.წ. „ძველი“ თუ „ახალი“ რადიოსიხშირული დიაპაზონი ჰარმონიზებულია ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, რაც შესაძლებლობას იძლევა ამგვარ დიაპაზონში დაინერგოს ყველა ის უსადენო ტექნოლოგია (მიწისზედა სისტემა), რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მისაწოდებლად; ამასთან, სიხშირეების ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად, განაწილების მიმართ შეცვლილმა მიდგომამ შესაძლოა, გამოიწვიოს უსადენო/მობილურ ბაზარზე კონკურენციის ხელყოფა, იმ შემთხვევაში, თუ ახლი რესურსის გაცემის დროს კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებული რეგულაციის ფარგლებში გათვალისწინებული არ იქნება ამგვარი დიაპაზონების ურთიერთჩანაცვლებადობის საკითხი.

გასათვალისწინებელია, რომ დღეს, უსადენო/მობილური ტექნოლოგიების განვითარების კუთხით, მსოფლიო გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, როცა სხვადასხვა 2G/3G/4G ტექნოლოგიები წარმატებით თანარსებობს და სადაც 2G/3G მომსახურება (მსოფლიო მასშტაბით დანერგილი ქსელებისა და აბონენტების მიხედვით) ჯერ კიდევ შემოსავლიან/მოთხოვნად მომსახურებად რჩება. შესაბამისად, ახალი თაობის (LTE) მობილურ ფართოზოლოვან ტექნოლოგიებზე მიგრაციაც საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად განხორციელდება. ბაზრის მონაწილეების კონკურენტუნარიანობა კი დაკავშირებულია მათ შესაძლებლობაზე, ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად განხორციელონ ახალ ტექნოლოგიებზე სრული მიგრაცია, რაც გარდამავალ/საშუალოვადიან პერიოდში გულისხმობს არსებული მობილური (GSM/UMTS) ტექნოლოგიების შენარჩუნების პარალელურად ახალი თაობის (LTE) უსადენო ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველყოფას.

კომისიის მიზანია, მიღებულ იქნეს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, წინამდებარე აუქციონის ფარგლებში დასადგენი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის შესახებ, სადაც გათვალისწინებული იქნება უსადენო/მობილურ ბაზარზე რადიოსიხშირული რესურსის მართვის კუთხით საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს ბაზარზე რადიოსიხშირების განაწილების მხრივ არსებული სიტუაცია, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურულ დონეზე კონკურენციის ხელშეწყობასა და შემდგომ განვითარებას.

კომისიას მიაჩნია, რომ მობილურ/უსადენო ბაზარზე ინფრასტრუქტურულ დონეზე გრძელვადიანი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა დადგინდეს 800 მჰც დიაპაზონისა და მისი მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული დიაპაზონების ერთობლიობისათვის.

კომისიას მიაჩნია, რომ 800 მჰც დიაპაზონის მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული დიაპაზონების განსაზღვრისას და რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) საქართველოში ხელმისაწვდომი ის ჰარმონიზებული დიაპაზონები, რომლებიც ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპების გათვალისწინებით, 800 მჰც დიაპაზონის მსგავსად, განკუთვნილია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მისაწოდებლად;

ბ) შესაბამის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონებში, აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის, საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის ოდენობა, კერძოდ აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი, ის თავისუფალი რესურსი, რომლის აუქციონზე გამოტანაც შესაძლებელია აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის და ლიცენზიის მფლობელების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი;

გ) კონკურენციის ის მისაღები დონე, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მობილურ/უსადენო ბაზარზე რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენით;

კომისია აღნიშნავს, რომ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნულ გეგმაში“ სათანადო ცვლილებების შეტანით განხორციელდა 900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ლიბერალიზაცია და ჰარმონიზაცია, კერძოდ, 800 მჰც დიაპაზონის მსგავსად, ზემოაღნიშნული დიაპაზონების ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მისაწოდებლად განკუთვნილი მიწისზედა უსადენო სისტემებისათვის განაწილება.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სიხშირესა და ტექნოლოგიაზე მორგებული სამომხმარებლო ტერმინალური მოწყობილობების ფართო ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, საქართველოში ჰარმონიზებულ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებს სხვადასხვა ტექნოლოგიების (კერძოდ - 900/1800 მჰც დიაპაზონებს GSM ტექნოლოგიის, 900/2100 მჰც დიაპაზონებს - UMTS ტექნოლოგიის და 800/1800 მჰც დიაპაზონებს - LTE ტექნოლოგიის) დანერგვის კუთხით, დღეს გარკვეული უპირატესობა გააჩნიათ, ზემოხსენებული დიაპაზონები უნდა ჩაითვალოს მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირულ დიაპაზონებად, ვინაიდან ყველა მათგანი ჰარმონიზებულია საქართველოში ტექნოლოგიური და მომსახურების ნეიტრალიტეტის პრინციპის გათვალისწინებით და განკუთვნილია მომხმარებლებისათვის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მისაწოდებლად.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში ჰარმონიზებული 900/1800/2100 მჰც დიაპაზონებიდან მხოლოდ 900 მჰც დიაპაზონი წარმოადგენს დაბალსიხშირულ, 1 გჰც-ს ქვემოთ არსებულ დიაპაზონს, რომელსაც სიგნალის გავრცელებისა და შენობა-ნაგებობებში შეღწევის კუთხით, 1800/2100 მჰც დიაპაზონებთან შედარებით უკეთესი და შესაბამისად, ურთიერთჩანაცვლებადობის კუთხით, 800 მჰც დიაპაზონის მსგავსი ტექნიკური მახასიათებელი გააჩნია.

შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ 800 მჰც დიაპაზონის მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირულ დიაპაზონებად მიზანშეწონილია, განისაზღვროს ყველა ზემოხსენებული და „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმით“ ელექტრონული საკომუნიკაციო

მომსახურებისათვის განკუთვნილი (900/1800/2100 მჰც) დიაპაზონი, სადაც მხოლოდ 900 მჰც დიაპაზონს ტექნიკური კუთხით 800 მჰც დიაპაზონის ურთიერთჩანაცვლებადი/ მსგავსი მახასიათებლები გააჩნია.


გამომდინარე იქიდან, რომ ვინაიდან კომისიის აზრით, მაღალკონცენტრირებულ, ოლიგოპოლისტურ უსადენო/მობილურ ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის მისაღებ მინიმალურ დონეს წარმოადგენს მინიმუმ სამი ოპერატორისათვის კონკურენტული სამოქმედო პირობების შექმნა, კომისია მიიჩნევს, რომ მოცემული აუქციონის ფარგლებში უნდა განსაზღვროს ისეთი სახის დასაშვები რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს მინიმუმ სამ ქსელურ ოპერატორს, კონკურენტული უსადენო/მობილური მომსახურება შესთავაზოს აბონენტებს.

კომისია, ასევე აღნიშნავს, რომ რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვემოთ მოცემულ, საქართველოში ჰარმონიზებულ დიაპაზონებში, სულ არსებული (ხელმისაწვდომი) რესურსი - კერძოდ, ლიცენზიის მფლობელების სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსი, აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი, ისევე, როგორც ის თავისუფალი რესურსი, რომლის აუქციონზე გამოტანაც შესაძლებელია აუქციონის გამოცხადების მომენტისათვის:

საქართველოში ჰარმონიზებული რადიოსიხშირული დიაპაზონები და ჰარმონიზებულ დიაპაზონებში ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსი

დიაპაზონი	ჰარმონიზებულ დიაპაზონში სტანდარტულად ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)		ჰარმონიზებულ დიაპაზონებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც) -	საქართველოში აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსის, ოპერატორების სარგებლობაში არსებული რესურსისა და თავისუფალი რესურსის ჩათვლით
800მჰც	60	2 x30	30	2 x 15
900 მჰც	70	2 x35	60,98	2x 30,49
1გჰც-ს ქვემოთ რესურსი სულ	130		90,98	
1800 მჰც	150	2 x75	140	2 x70
2100 მჰც	120	2 x60	90	2 x45
1გჰც-ს ზემოთ რესურსი სულ	270		230	
სულ	400	2x200	320,98	2x 160,49

შენიშვნა: კომისია არ ითვალისწინებს 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონების ფარგლებში არსებულ იმ რადიოსიხშირულ რესურსს, რომლის ჰარმონიზაციაც საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, რომელიც „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ მიხედვით დროებით სარგებლობაშია და/ან რომლის აუქციონზე გამოტანაც ვერ განხორციელდება რადიოსიხშირული დიაპაზონების ოპტიმიზაციის



დიაპაზონი	მატიკომი		ჯეოსელი		მობიტელი	
900 მჰც	26,4	2x13,2	23,6	2x11,8	10,98	2x5, 49
1800 მჰც	59,8	2 x 29,9	59,8	2 x 29,9	20	2x10
2100 მჰც	60	2 x 30	30	2x 15		
სულ 900/1800/2100	146,2	2x 73,1	113,4	2x 56,7	30,98	2x15,49

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, შესაძლებელია, დადგინდეს, როგორც მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობისათვის, ასევე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის, თუმცა, ვინაიდან მოცემულ ეტაპზე, 800 მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომია ერთი ლიცენზია (2x10 მჰც რადიოსიხშირული რესურსი), მოცემული აუქციონის მიზნებისათვის 800 მჰც დიაპაზონისათვის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ასევე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული აუქციონის ფარგლებში დადგინდეს მსგავსი მახასიათებლების მქონე 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებისათვის რადიოსიხშირული რესურსის საერთო მაქსიმალური ოდენობა, ისევე როგორც დაწესდეს რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა 1-გვჯ ქვემოთ არსებული მსგავსი მახასიათებლების მქონე 800 მჰც და 900 მჰც დიაპაზონებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოცემული აუქციონის ფარგლებში დადგინდეს ისეთი სახის რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეუზღუდავს პირს აუქციონში მონაწილეობის უფლებას, თუ აუქციონის გამართვის მომენტისათვის იგი უკვე ფლობს ან აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში გახდება კომისიის მიერ განსაზღვრული მსგავსი მახასიათებლების მქონე დიაპაზონების ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსის ერთ მესამედზე (33,3%-ზე) მეტის მფლობელი.

კომისია აღნიშნავს, რომ 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად საქართველოში ხელმისაწვდომია 320,98 მჰც რადიოსიხშირული რესურსი, ხოლო მხოლოდ 800/900 მჰც დიაპაზონებში 90,98 მჰც რადიოსიხშირული რესურსი; შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება უნდა შეეზღუდოს პირს, რომელიც აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად მის სარგებლობაში არსებული რესურსის ჩათვლით გახდება:

ა) 800მჰც, 900 მჰც, 1800 და 2100 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად სულ ხელმისაწვდომი (320,98 მჰც) რესურსის დაახლოებით მესამედის (33.3%), კერძოდ 2 x 53,5 მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე მეტის მფლობელი ან/და

ბ) 800მკვ და 900 მკვ დიაპაზონებში ერთობლივად სულ ხელმისაწვდომი (90,98 მკვ) რადიოსიხშირული რესურსის დაახლოებით მესამედის (33.3%), კერძოდ 2x 15,5 მკვ რესურსზე მეტის მფლობელი.

კომისია მიიჩნევს, რომ ამგვარად დადგენილი რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის გათვალისწინებით ჩატარებული აუქციონით უზრუნველყოფილი იქნება დღეს მობილურ/უსადენო ბაზარზე სიხშირეების არათანაბარი განაწილების შედეგად გამოწვეული კონკურენციის განვითარების ხელშეშლელი მდგომარეობის გამოსწორება და მომავალში კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა.

კომისია აღნიშნავს, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა დადგინდეს შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მკვ რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე შემდეგი ფორმულით:

$$P = Pn \cdot C - B$$

სადაც:

P - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობაა ლარებში;

Pn - რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მკვ რესურსის სავარაუდო ღირებულება;

C - ერთი ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა(მკვ-ების) ოდენობა;

B - სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების (Pn·C) კომისიის მიერ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება, რომელიც დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის 1 მკვ რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხორციელდება ბენჩმარკინგისა და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიების გამოყენებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიას.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140019263) ფარგლებში გამარჯვებულმა კომპანიამ („ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში), ტენდერის მოთხოვნების გათვალისწინებით, განახორციელა ბიზნეს მოდელირების მეთოდის გამოყენებით 800 მკვ დიაპაზონის 1მკვ რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება და 800 მკვ დიაპაზონის 1 მკვ სავარაუდო საბაზრო ღირებულებად განსაზღვრა - 2 545 494 ლარი.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის გაანგარიშებისათვის, კომისიამ, ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით, წინამდებარე გადაწყვეტილებით უნდა განსაზღვროს სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების (Pn·C) პროცენტული ფასდაკლება, რომელიც შესაძლებელია, დადგინდეს 5%-დან 20%-მდე.

კომისია მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სააუქციონოდ გამოტანილი ლიცენზია დატვირთულია დაფარვის ვალდებულებით, კომისიის აზრით, ამგვარი ვალდებულება არ წარმოადგენს ისეთი სახის დამატებით სალიცენზიო ტვირთს, რომელიც არ არის თანხვედრაში ეფექტური ოპერატორის ქსელის განვითარების გეგმასთან, ვინაიდან დაბალსიხშირული 800 მკვ დიაპაზონის ფარგლებში არსებული რესურსი ოპერატორების მიერ, როგორც წესი, გამოიყენება სწორედ ეროვნულ დონეზე დაფარვის ადეკვატური და მაქსიმალური დონის უზრუნველსაყოფად. ასევე, ვინაიდან ზემოთ მოცემული 800/900/1800/2100 მკვ დიაპაზონებისათვის განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობა საშუალებას არ მისცემს ბაზარზე არსებულ ორ მსხვილ მობილურ ოპერატორს (მათ სარგებლობაში არსებული რადიოსიხშირული რესურსის ნაწილის დათმობის გარეშე), მონაწილეობა მიიღონ აუქციონში, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოცემული აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების ფასდაკლება განსაზღვროს მინიმალური, კერძოდ (ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 800 მკვ დიაპაზონის 1 მკვ რესურსის სავარაუდო

ღირებულების - 2 545 494 ლარისა და სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის მპც-ების ოდენობის - 20-ის ნამრავლის), 5 %-ის ოდენობით, რომელიც შეადგენს 2 545 494,00 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, 800 მპც დიაპაზონში 2x10 მპც ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა დადგინდეს - 48 364 386,00 (ორმოცდარვა მილიონ სამას სამოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდაექვსი) ლარის ოდენობით, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით: 2 545 494 x 20-2 545 494.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე და 47² მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის და მე-18 მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა” და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გამოცხადდეს აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

- ა) რადიოსიხშირული სპექტრი: „downlink“ - 806.0-816.0 მპც სიხშირული რესურსი და „uplink“ - 847.0-857.0 მპც სიხშირული რესურსი;
- ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;
- გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა -15 წელი;
- დ) ტექნიკური პირობები:
- და.) ტექნიკური პირობები FDD საბაზო სადგურებისათვის:
- და.ა.) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ექვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 64 დბმ/5 მპც.
- და.ბ.) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა:

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
FDD აპლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეები (832 მპც-დან 862 მპც-მდე)	-49.5 დბმ	5 მპც

და.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის (791 მპც-დან 821 მპც-მდე)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მპც-დან -5 მპც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მპც
-5 მპც-დან 0 მპც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მპც
0 მპც-დან +5 მპც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	22 დბმ	5 მპც
+5 მპც-დან +10 მპც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	18 დბმ	5 მპც
FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი დანარჩენი სიხშირეებისათვის	11 დბმ	1 მპც

და.ა.დ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე), რომლებიც გამოყენებულია, როგორც დამცავი ზოლი (guard band)

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
790 მპც-დან 791 მპც-მდე	17.4 დბმ	1 მპც
821 მპც-დან 832 მპც-მდე	15 დბმ	1 მპც

დ.ა.ე) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები 790 მპვ-ს ქვემოთ მდებარე სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	პირობა EIRP-ზე საბაზო სადგურის ბლოკის შიგნით, P დბმ/10მპვ	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
470 მპვ-დან 790 მპვ-მდე	P≥59	0 დბმ	8 მპვ
	36≤P<59	(P-59) დბმ	8 მპვ
	P<36	-23 დბმ	8 მპვ

დ.ბ) ტექნიკური პირობები FDD ტერმინალური სადგურებისათვის: ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 23 დბმ.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის ამავე პუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ბ) უზრუნველყოს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) საქართველოს იმ დასახლებული პუნქტებისათვის (მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა), სადაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის და შემდგომში – უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, შემდეგი პირობებით:

უზრუნველყოს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა დასახლებული პუნქტების რაოდენობის მინიმუმ:		
1.	30%-ში	2016 წლის 1თებერვლამდე
2.	50%-ში	2017 წლის 1თებერვლამდე
3.	70% -ში	2018 წლის 1თებერვლამდე
4.	90%-ში	2020 წლის 1თებერვლამდე

შენიშვნა: დასახლებულ პუნქტში მომსახურების ხელმისაწვდომობა არის განსაზღვრული ხარისხის მომსახურების სტაბილურად მიწოდების უზრუნველყოფა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოსახლეობის 100%-სთვის;

გ) უზრუნველყოს სტაბილურად ხელმისაწვდომი მომსახურების მიწოდება, კერძოდ, არა პიკის საათებში (როცა ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთვა 60%-ზე ნაკლებია), წვეტის გარეშე, ფიჭის საზღვარზე (Cell edge) მინიმუმ 2 მპტ/წმ „downlink“ მომსახურების მიწოდების სიჩქარე, გაზომვების 95%-ის შემთხვევაში;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ვ) ხელშემშლელის თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ზ) 827.955-831.645 მპვ და 872.955- 876.645 მპვ რესურსის ფარგლებში დანერგილი ქსელისათვის ხელშემშლელის შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამგვარი ხელშემშლელის აღმოფხვრა;

3. რესურსით სარგებლობის საწყისი განისაზღვროს 48 364 386,00 (ორმოცდარვა მილიონ სამას სამოცდაოთხი ათას სამას ოთხმოცდაექვსი) ლარის ოდენობით;
4. აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 29 დეკემბრის 13:00 საათი;
5. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2014 წლის 19 დეკემბრის 17:00 საათამდე;
6. აუქციონის ბოჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5%-ს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე ანუ 2 418 219,00 (ორი მილიონ ოთხასთვრამეტი ათას ორას ცხრამეტი) ლარს;
7. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი განცხადებით მიმართავს კომისიას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი სახის სარგებლობის ლიცენზიის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
8. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
 - ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
 - ბ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბე) გადახდის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე სააქციო კომერციულ ბანკ "თი-ბი-სი" ბანკში შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:
 მიმღები - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
 საიდენტიფიკაციო კოდი - 204953050;
 ა/ანგარიში - GE 11 TB 06 000 000 006 093 26;
 ბანკი - სააქციო კომერციული ბანკი „თი-ბი-სი“;
 ბანკის კოდი - TBCBGE22;
- თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს აცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი და რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%, გადახდილი ბეს სახით, ექვემდებარება დაბრუნებას; რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ი (ბე) ლიცენზიის მაძიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;
- გ) სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული თანხა ირიცხება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოპოვების მიზნით დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს +995 32 239 40 29);
9. აუქციონში მონაწილეობის უფლება ეზღუდება პირს, რომელიც დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებთან ერთად აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, მის სარგებლობაში არსებული რესურსის ჩათვლით გახდება:
 - ა) მსგავსი მახასიათებლების მქონე 800 მჰც, 900 მჰც 1800 მჰც და 2100 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2 x 53,5 მჰც რადიოსიხშირულ რესურსზე მეტის მფლობელი ან/და
 - ბ) 1 გჰც-ს ქვემოთ არსებული მსგავსი მახასიათებლების მქონე 800მჰც და 900 მჰც დიაპაზონებში ერთობლივად 2x 15,5 მჰც რესურსზე მეტის მფლობელი
10. აუქციონი ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;
11. დაევალოს კომისიის პრესმდივანს (ხ. ყურაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
13. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე
 კომისიის წევრი
 კომისიის წევრი
 კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე
 კახი ბექაური
 სოფიო ბრიტანჩუკი
 ირაკლი მოსემვილი